

# ათრა

№27 2020

სალიტერატურო  
რელიგიურ-ფილოსოფიური და  
საზოგადოებრივი ურნალი

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS  
CAUCASIAN  
HOUSE

თბილისი  
2020

## დავით თიბიკაშვილი

### შიგნილა ჩაკეთილი ჯოჯოსეთი<sup>1</sup>

რეცენზია-ესე წიგნზე: კ.ს. ლუისი. „დიდი გაყრა“  
ინგლისურიდან თარგმნა ორმა მახარაძემ

„საბოლოოდ ორი კატეგორიის ადამიანები არსებობენ: ისინი, ვინც ეუბნებიან ღმერთს: ‘იყავნ ნება შენი’ და ისინი, ვისაც ბოლოს ღმერთი ეუბნება: „იყავნ ნება შენი...“ საკუთარი არჩევანის გარეშე ჯოჯოხეთმი არავინ ხვდება. არც ერთი სული, რომელსაც სერიოზულად და მტკიცედ სურს სიხარული, მის გარეშე არ დარჩება“. კლაივ ლუისი, დიდი გაყრა<sup>2</sup>

„თქვენ მოიქცევით კარგად არა იმიტომ, რომ ჯილდოდ ზეცად მოხვედრა დაიმსახუროთ, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი ქცევისადმი გარდაუვალი ლტოლვა გაქვთ, რადგან ზეციური სინათლის პირველი სუსტი სხივი თქვენში უკვე აკიაფდა“. კლაივ ლუისი, უბრალოდ ქრისტიანობა<sup>3</sup>.

ცნობილი ბრიტანელი მწერლის, ოქსფორდის და შემდეგ კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის პროფესორის, კლაივ ლუისის წიგნი „დიდი გაყრა“ (Great Divorce) თეოლოგიური გზავნილებით გაჯერებული ალეგორიული მოთხოვნაა. ამ მხატვრული ტექსტის თითქმის ყველა იდეა უდანაკარგოდ გამოხატავს ქრისტიანული თეოლოგიის მთავარ პრინციპებს ადამიანის სულიერი განვითარებისა და საიქიოს რეალობის შესახებ. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ლუისის „ნარნიას ქრონიკები“<sup>4</sup>, საბავშვო ზღაპრების სერია, რომელიც ასევე დახუნძლულია ქრისტიანული მოტივებით. სხვათა შორის, ქართულ ენაზე არსებობს ლუისის უშუალოდ თეოლოგიური ხასიათის შემოქმედებიდან უმთავრეს წიგნად მიწნეული ნაშრომი „უბრალოდ ქრისტიანობა“, რომელიც 2002 წელს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა გამოსცა.

აშკარაა, რომ ინგლისური სიტყვიერების ოსტატს, კლაივ ლუისს გამორჩეული ნიჭი ჰქონდა მხატვრული ტექსტების საშუალებით გადმოეცა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო იდეები. როგორც ცნობილი ინგლისელი მართლმადიდებელი თეოლოგი, მიტროპოლიტი კალისტოს უერი წერს, კლაივ ლუისი აცნობიერებდა, რომ წმინდად ფილოსოფიურ და ლოგიკაზე დაფუძნებულ მსჯელობებს არ შეეძლო ღვთაებრივი იდუმალების სიღრმისეული გადმოცემა. ამ მიზეზით, „ლუისი აღიარებდა, რომ ღმერთს ყველაზე მეტად ვუახლოვდებით პოეზიის, მითებისა და სიმბოლოების მემვეობით. ამიტომაც გამოთქვამდა იგი ყველაზე ღრმა აზრებს მოთხოვნებითა და იგავებით“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> რეცენზიის სათაურის სიტყვების აზრი ეკუთვნის კლაივ ლუისს, რომელიც გამოთქმულია ნაშრომში: Lewis, C.S. *The Problem of Pain*. San-Francisco: Harper San-Francisco 2001, გვ. 130.

<sup>2</sup> ლუისი, კ.ს. დიდი გაყრა. ინგლისურიდან თარგმნა ორმა მახარაძემ. თბ., სეზანი, 2019, გვ. 54.

<sup>3</sup> ლუისი, კლაივ. უბრალოდ ქრისტიანობა. თარგმნა ზენაბ სარაძემ. წიგნი 3, თავი 12. თბ., CIPDD 2002, გვ. 136.

<sup>4</sup> ლუისი, კლაივ. ნარნიას ქრონიკები. შვიდტომეული. ინგლისურიდან თარგმნა ნინო შეყილაძემ. თბ., წიგნები ბათუმში 2015-2017 (ამ დროისთვის გამოქვეყნებულია მხოლოდ პირველი ხუთი ტომი. უახლოეს მომავალში მე-6-7 ტომებიც იხილავს დღის სინათლეს).

<sup>5</sup> უэр, კალისტ. „Можно ли считать К.С. Льюиса ‘анонимным православным?’“ Льюис, К.С. Собрание Сочинений в 8 томах. Том 1. Пер. с Англ. М., Фонд Александра Менья 2006, с. 283.

„დიდი გაყრა“ საინტერესო სიუჟეტზეა აგებული. ტექსტი აღგვინერს ჯოჯოხეთში მყოფი სულების მდგომარეობას, რომლებიც „აჩრდილებად“ იხსენიებიან, ხოლო თავად ჯოჯოხეთი „ნაცრისფერ ქვეყანად“ იწოდება. მთავარი პერსონაჟი, რომელიც იქ არსებულ ვითარებას მოგვითხრობს, ამ რუს ქვეყანაში შეცდომითა მოხვედრილი. აღმოჩნდა, რომ ასეთი ულიმდამო და უფერული ქვეყანა სულაც არ გულისხმობს ჯოჯოხეთთან ტრადიციულად ასოცირებულ სასჯელებს, რომელთაც ხშირად გამოსახავდნენ წარსულში, მაგ., ჰი-ერონიმუს ბოსხის ტილოებზე. მოკლედ, ჯოჯოხეთში არავინ არავის ხრუკავს ცეცხლზე ან ხარშავს ცხელ კუპრში.

ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად, ღვთის სასუფეველში და ჯოჯოხეთშიც ერთი და იგივე ღვთის ენერგია მოქმედებს, რომელიც ჯოჯოხეთში მოხვედრილი სულებისთვის ტანჯვად აღიქმება, სამოთხის ბინადართათვის კი სიყვარულად (ისააკ ასური, მაქსიმე აღმ-სარებელი)<sup>1</sup>. ამრიგად, აზრი იმის შესახებ, რომ „განცრისხებული“ ღმერთი ცოდვილებს ტანჯვას ჯოჯოხეთში, უცხოა ქრისტიანულ სწავლებასთან.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაცრისფერი სამყაროს მცხოვრებლებს არანაკლები გასაჭირი აქვთ, რადგან იქ ყველაფერი დანაკლისური და არარეალურია. მაგალითად, აგებული სახლები შეიძლება სულაც არ იცავდეს წვიმისა ან თოვლისგან. ილუზორულ სამყაროში საკმარისია აჩრდილმა მოისურვოს და წარმოიდგინოს სახლი, რომ ეს უკანასკნელი მყისიერად წარმოიქმნება. მაგრამ ამგვარი სახლი უხარისხოა, უფრო სწორად, ერთგვარი ერზაცია. ამისგან განსხვავებით, ნათლის სამეფოში სურვილის ასრულებას საფუძვლად თხოვნა უდევს და არა ვინმეს თვითნებური წარმოდგენა.

მიუხედავად ნაცრისფერ ქვეყანაში არსებული ყველა ხარვეზისა და დანაკლისისა, არსობრივი დაუკმაყოფილებლობისა და მუდმივი ფრუსტრაციისა, იქ მცხოვრები აჩრდილები მაინც არ აპირებენ სხვაგან ცხოვრებას. ისინი მიჯაჭვულნი არიან თავის გარემოს. თუმცა ყოველთვის აქვთ შანსი უკეთეს ადგილას გადასვლისა, თუკი შინაგანად შეიცვლებიან, რისი უნარიც ყველა მათგანს აქვს. ავტორი წანარმოებში გარდაცვლილის სულის განვითარების რეალურობაზე მიანიშნებს. ზოგადად, აღიარებულია, რომ კლაივ ლუის საიქიონ განწმენდის იდეის სწამდა<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში ეს წმინდად კათოლიკური ტრადიცია იყო, რომელსაც ლუისი არ ეკუთვნოდა.

მოთხოვთ შეიცავს ნათელ იდეას, რომ ცოდვილთა სულები არ არიან განწირულნი ჯოჯოხეთში სამუდამო ცხოვრებისთვის, რადგან უკეთეს სამყაროში გადასვლის შანსი აქვთ. როგორც აღინიშნა, ეს მოხდენილი ალუზიაა სულის განწმენდის შესაძლებლობაზე საიქიონში, რასაც აღიარებს როგორც რომის კათოლიკე ეკლესია (განსაწმენდელის შესახებ სწავლებით), ისე მართლმადიდებელი ეკლესია („აპოკატასტასისის“ შესახებ მოძღვრებით<sup>3</sup>). გარდაცვლილის სულისთვის ლოცვა და მის სახელზე მოწყალების გაღების საერთო-ქრისტიანული პრაქტიკაც სწორედ ამას გულისხმობას: სულის მდგომარეობა უმჯობესდება საიქიონში ანუ ის ტანჯვის ადგილიდან ბედნიერების ადგილისკენ ინაცვლებს.

<sup>1</sup> Hart, David Bentley. *Beauty of the Infinite: The Aesthetics of Christian Truth*. Grand Rapids: Eerdmans 2003, p. 399. (ინფორმაციისთვის: არსებობს ამ ამერიკელი მართლმადიდებელი თეოლოგის აღნიშნული წიგნის რუსული თარგმანიც. ციტირებული ადგილი იხ.: დევიდ ჰარტ. კრაიტის ბესკონეჩი: ესტეტიკა ხრისტიანული წარაქტიკი კაც სწორედ ამას გულისხმობას: სულის მდგომარეობა უმჯობესდება საიქიონში ანუ ის ტანჯვის ადგილიდან ბედნიერების ადგილისკენ ინაცვლებს.

<sup>2</sup> Walls, Jerry. *Heaven, Hell and Purgatory: Rethinking the Things that Matter Most*. Grand Rapids, MI: Brazos Press 2015, p. 109.

<sup>3</sup> გარდაცვლების შემდეგ სულის განწმენდის შესახებ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება იხ.: თინიკაშვილი, დავით. „აპოკატასტასისი: აღმოსავლელი მამები ყველა დაცემულის ღმერთთან დაბრუნების შესახებ“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტომი XI, 2018, გვ. 125-173. ამავე ჟურნალის მომდევნო წლერში (ტომი XII, 2019) იხ. ასევე ჩემი სტატია სათაურით „აპოკატასტასისი და განსაწმენდელი: აღმოსავლეთის შეხვედრა დასავლეთთან“. შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ მიუხედავად წაზილობრივად განსხვავებული მოდელებისა, გარდაცვლილის სულის განწმენდის იდეას ყოველთვის აღიარებდა როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკური ეკლესია.

რუხი სამყაროს უზარმაზარი სივრცეების სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ აჩრდილებს ერთადერთი გზა აქვთ, რომ უსახურ ქვეყანას თავი დააღწიონ: ისინი ავტობუსის გაჩერებასთან უნდა აღმოჩნდნენ. ამისთვის კი შეიძლება ხანგრძლივი გზის გავლა მოუწიოთ: „ყველა ადამიანი, რომელთაც შევხვდი, გაჩერებასთან ახლოს ცხოვრობს, მაგრამ ჩვენი დროით საუკუნეები დასჭირდათ იქ მისასვლელად. გამუდმებით გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე“ (გვ. 11). ავტობუსს ეს აჩრდილები ზეცაში გადაჰყავს. მოთხოვთაში ღვთის სასუფეველი სინათლით მოსილი მთების სახითაა გამოსახული, რომლებიც ნაცრისფერი სამყაროდან შორ მანძილზე მოჩანს.

ცოდვილ სულებს არა მხოლოდ ღვთის სასუფევლის ხილვას, არამედ იქ დარჩენასაც სთავაზობენ. თუმცა აღმოჩნდება, რომ მათთვის (შეუცვლელი შინაგანი მდგომარეობის გამო) იქ ცხოვრება აუტანელია, მტკიცნეულია. მოთხოვთაში ეს ფაბულა შეიძლება ამ ცნობილი ხატოვანი სიტყვებითაც გამოითქვას: სულს არ შეუძლია ზეცის დამკვიდრება, თუკი თავად მასში არაა დამკვიდრებული ეს ზეცა. საკუთარი თავის გაუმჯობესებას, თავისუფალი ნების წრთობას თანდათანობითი ხასიათი აქვს. ამის შესახებ ლუისი თავის წიგნში „უბრალოდ ქრისტიანობა“ ამგვარად წერდა:

„ყოველთვის, როცა არჩევანს აკეთებთ, თქვენ ცვლით თქვენი არჩევანის მკეთებელ არსებას, რომელიც ცოტა უფრო სხვა ხდება, ვიდრე მანამდე იყო. და თუ თქვენ აურაცხელარჩევნიან ცხოვრებას მთლიანობაში განიხილავთ, ნახავთ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე საკუთარ არსებას ნელინელ ზეციურ ან ჯოჯოხეთურ არსებად აქცევდით“<sup>1</sup>.

სამოთხე ერთადერთი რეალობაა. ამიტომ ეწოდებათ მის მკვიდრთ „მყარი სულები“, ხოლო ნაცრისფერი სამყაროს ბინადრებს „აჩრდილები“. ცოდვილი სულების შინაგანი შეუთავსებლობა სამოთხის მდგომარეობასთან ამ ნაწარმოებში გარეგანი სიმპოლური ფორმებითაც გამოიხატება: აჩრდილებისთვის სამოთხის მდელოებზე სიარულიც კი მტკიცნეულია, რადგან რეალური სამყაროს ბალახიც კი იმდენად მყარია, რომ ლანდებს ისინი ფეხებში უსიამოდ ერჭობათ. წვიმის წვეთები და თოვლის ფანტელები კი ისეთი მძიმეა, რომ მათ თავში ქვებივით ეცემათ.

ნაწარმოებში წარმოჩენილია ამ აჩრდილთა, როგორც ცოდვილ სულთა, სათანადო პიროვნული თვისებებიც. მაგ., ნათქვამია, რომ ნაცრისფერ სამყაროში მცხოვრები „ჩხუბისთავები არიან. როცა ვინმე ჩამოვა და დასახლდება, 24 საათიც არ არის გასული, მეზობელს ეჩხუბება“ (გვ. 11). ამიტომ, საბოლოოდ, ყოველი მათგანი ცდილობს შორს გადავიდეს საცხოვრებლად, რადგან ერთმანეთის ატანა არ აქვთ. ამის გამო, მათი სახლები შეიძლება „მილიონობით მილითაც“ (გვ. 11) კი იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებული.

ღვთის მიერ ჩაფიქრებული ადამიანი კომუნიკაციური არსებაა. მისი ბედნიერების განუყოფელი ნაწილია სხვებთან ურთიერთობა. თვით წმინდა სამება გულისხმობს სამპიროვნებას შორის ურთიერთობას. ქრისტიანული მოძღვრებით, სწორედ ღვთის მიერ სხვისთვის სიყვარულის გაზიარება ანუ სხვასთან ურთიერთობის განზრახვა იყო საფუძველი სამყაროს შექმნისა, არაყოფიერიდან ყოფიერების წარმოქმნისა. იზოლაცია, დაყოფა, განხეთქილება და ერთმანეთისგან დაცალკევება ანტიღვთაებრივი რეალობის თვისებებია, რომლებიც საბოლოოდ არარსებობისკენ ისწრაფის (სხვათა შორის, მოთხოვთაში ერთ ადგილას, ჯოჯოხეთის ონტოლოგიური არარაობის აღსანიშნავად, ნათქვამია, რომ ეს „უზარმაზარი“ ნაცრისფერი სამყარო, რომლის აჩრდილისებრი ბინადრები შეიძლება ასეულობით მილით იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებული, ღვთის სასუფეველში აპიბინებული ბალახის ერთი ღეროს წვერზე ეტევა).

აღნიშნული სულიერი იზოლაციონიზმის კონტექსტში, ალბათ, მართლმორწმუნე ქრის-

<sup>1</sup> ლუისი, კლაივ. უბრალოდ ქრისტიანობა. თარგმნა ზეინაბ სარაძემ. წიგნი 3, თავი 4. თბ., CIPDD 2002, გვ. 91.

ტიანს გაახსენდება ცნობილი განდეგილი ბერის, წმინდა მაკარი დიდის ცხოვრებიდან სა-თანადო ეპიზოდი. უდაბნოში მოსიარულე წმინდა მამა დაგდებულ თავის ქალას შეხვდება, რომელიც წარმართა გარდაცვლილ ქურუმს ეკუთვნოდა. სასწაულებრივად თავის ქალა მაკარისთან საუბარს იწყებს და აუწყებს, რომ როდესაც ის ჯოჯოხეთში მყოფთათვის ლოცულობს, ისინი გარკვეულ შვებას გრძნობენ. ქურუმის სულის უწყებით, ტანჯვის ადგილას ყოფნა ასევე გულისხმობს სრულ სიმარტოვეს: ქურუმებს ერთმანეთის დანახვა არ შეეძლოთ, რაც ბევრად ამძიმებდა მათ ისედაც აუტანელ ყოფას. მაკარის ლოცვით კი ისინი თანდათანობით იწყებდნენ ერთმანეთის დანახვას უსასრულო სივრცეში, რაც მათ გარკვეულ ნუგეშს ანიჭებდა<sup>1</sup>.

ლუისი ამ აჩრდილთა არა მხოლოდ კონფლიქტურ ბუნებას აჩვენებს, რაც მათ გათითოვაცებასა და ერთმანეთისგან დაშორებას განაპირობებს, არამედ აგრეთვე წახდენილი სულის სხვა თვისებაზეც მიუთითებს: ესაა ბოროტი ფიქრები გარშემოყოფებზე. მაგ., ისინი ავტობუსის მძღოლს, რომელსაც საერთოდ არ იცნობენ, უკანასკნელი სიტყვებით ლანდლავენ. არადა, მთხოობელის შენიშვნით, მძღოლი კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის განსახიერება იყო. ამრიგად, ყველასა და ყველაფერზე ნეგატიური მოსაზრების ქონა ამ ცოდვილ სულთა შინაგანი მდგომარეობის კიდევ ერთი გამოხატულებაა. მოთხოვთ ეს მოტივი ეხმიანება ქრისტიანული ასკეტიკის ცნობილ პრინციპს: თუ ადამიანი სხვათა შესახებ ნეგატიურ აზრებს ვერ დაძლევს, სულიერად ვერ განვითარდება.

ნაცრისფერ ქვეყანაში „მუდმივად გათენების მოლოდინში“ არიან (გვ. 27), სადაც, მართალია, გართობის მრავალი საშუალებაა, თუმცა ცოდვილ სულებს არ ძალუბთ ღრმა აზროვნება და ეს დიდად არც აწუხებთ. „მათ აქვთ კინოთეატრები, სწრაფი კვების ობიექტები, რეკლამები და ყველაფერი, რასაც ისურვებენ. ინტელექტუალური ცხოვრების ნაკლებობა საერთოდ არ აწუხებთ“ (გვ. 8). ამასთან, ისინი გამოირჩევიან „პედანტური ცრურწმენებით, ინტელექტუალური არაკეთილსინდისიერებით, აზრის ბუნდოვანებითა და სტაგნაციით“ (გვ. 28).

როდესაც ავტობუსი ცოდვილი სულების ნაწილს ნაცრისფერი ქვეყნიდან გამოიყვანს, გაჩერდება ერთ მდელოზე, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მოლაპარაკების ველი“. მართალია, ეს ადგილი სამოთხე არაა და ერთგვარი წინა კარიბჭეა ღვთის სასუფევლისა, მაგრამ ეს ტერიტორიაც აშკარად ეკუთვნის ნათლის სამყაროს. ამის ცხადი ნიშანია შინაგანი და ასევე გარეგანი დისკომფორტი, რომელსაც ცოდვილი სულები აქ განიცდიან. მათ ამ ველზე ახლობლების სულები ან მფარველი ანგელოზები ეგებებიან, რომლებიც ცდილობენ ისინი სამოთხეში გადასვლაზე დაიყოლიონ, უხსნიან რა ღვთაებრივი სამყაროს თავისებურებებს. სამწუხაროდ, აჩრდილებს ძალიან უჭირთ საკუთარი აზროვნების ნესის შეცვლა და მათ ბუნებაში ღრმად გამჯდარი ჩვეულებების დაძლევა, რაც აუცილებელი პირობაა არსობრივი ფერისცვალებისა.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი იმ შეხვედრებიდან, რომლებიც ამ ველზე შედგა „მყარ“ სულებსა და აჩრდილებს შორის.

პირველ რიგში, მინდა მკითხველის ყურადღება იმ დიალოგს მივაჰყრო, რომელიც ნათელ სულსა და ეპისკოპოსის აჩრდილს შორის გაიმართა. საუბრიდან საცნაურდება, რომ თეოლოგიზმირებისა და ინტელექტუალური განსჯის სიყვარული ყოფილ ეპისკოპოსს ვნებად აქვს ქცეული. მისთვის თავისთავადაა ღირებული შეკითხვების დასმა, მსჯელობა, დებატები. ამაზე ნათლის სული

<sup>1</sup> Ward, Benedicta (ed). *The Sayings of the Desert Fathers: The Alphabetical Collection*. Kalamazoo: Cistercian Publications 1984, 136-7. (აღნიშნული ეპიზოდი ასევე რუსულ თარგმანში იხ.: Еланская, А. И. (сост.). Изречения Египетских Отцов. СПб., Алтей 2001, 92-3. (ამბავი №253).

ლაკონურად მიუგებს: „მე შეკითხვების კი არა, პასუხების მიწაზე მიმყავხარ. იქ შენ ღმერთს ნახავ“ (გვ. 31). მაგრამ ქრისტეს ეკლესის მაღალი იერარქი მიზნის მიღწევას ანუ ღვთის ხილვას სტაგნაციად მიიჩნევს: „რა ანადგურებს სულს სტაგნაციაზე მეტად?“ (გვ. 31). ეპისკოპოსის სული აცხადებს: „ჩემთვის არ არსებობს საბოლოო პასუხის ცნება. ადამიანის გონებაში ყოველთვის უნდა იბადებოდეს თავისუფალი შეკითხვები. მიზნისკენ სვლის პროცესი უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მიზნის მიღწევა“ (გვ. 31). უფრო მეტიც, ეპისკოპოსის არ ჰყოფნის ქრისტეს მიერ გამოთქმული იდები, რაც სახარებაშია შემონახული. მისი აზრით, „ქრისტე შედარებით ახალგაზრდა იყო, როცა მოკვდა. რომ ეცოცხლა, თავის ზოგიერთ ადრეულ შეხედულებას განავითარებდა“ (გვ. 33).

ნათელი სული ცდილობს აუხსნას, რომ ის „ჭეშმარიტების წვდომას მხოლოდ აპსტრაქტული ინტელექტით ცდილობს“. ეპისკოპოსი პასუხობს, რომ „მზა ჭეშმარიტებას“ არ ესწრაფვის. მას ის ადარდებს, დარჩება თუ არა მის „გონებას თავისუფალი გასაქანი“ სამოთხეში (გვ. 31). ანგელოზის გენიალური პასუხი კი ამგვარია: „თავისუფალი იქნები, როგორც ადამიანია თავისუფალი, დალიოს წყალი, როცა სურს. მას არ აქვს მწყურვალედ ყოფნის თავისუფლება“ (გვ. 31).

ინტენსიური დიალოგის შემდეგ თეოლოგი ეპისკოპოსი ნათელ სულს გადაჭრით მიუგებს: „შენთან ერთად ვერ წამოვალ. პარასკევს მოხსენებას ვკითხულობ“. ეს სიტყვები მისი შინაგანი მისწრაფებების ლოგიკური გამოხატულებაა და იმავდროულად საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენი. მის მაღალყოვლადუსამდვდელოესობას ღმერთთან რეალურ შეხვედრაზე მეტად მის შესახებ ინტელექტუალური მსჯელობები ურჩევნია მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ, ეპისკოპოსისვე სიტყვით, მის ლექციების მსმენელთა „აღქმის უნარის დაქვეითება თვალში საცემია“ (გვ. 33). სხვა სიტყვებით, ის აცნობიერებს, რომ თავისი მოხსენებით ვერ დაეხმარება მსმენელებს, თუკი მისი მიზანი თუნდაც სხვათა განათლების კეთილი იდეა ყოფილიყო.

ლუისი მოგვითხრობს აგრეთვე ვინმე სარა სმითის შესახებ, რომელსაც არანაირი სტატუსი, სახელი და დიდება არ ჰქონია მიწიერ ცხოვრებაში. თუმცა ეს ქალი მიწიერი ცხოვრების მანძილზე ყველასადმი და ყველაფრისადმი უსაზღვრო სიყვარულით საზრდოობდა. მის გულში ყველა არსებას ჰქონდა თავისი ადგილი: ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს (გვ. 84). ქრისტეს სიტყვით, ვინც მცირეში სანდოა, მას დიდსაც ანდობენ (ლუკ. 16:10) და ვინც მცირეს დათესავს, მრავალს მოიმკის. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ღვთის სასუფეველში ამ ქალის სიყვარულის უნარი ბევრად ძლიერდება და მრავლდება. მასში სიყვარულის უნარი იმდენად გაძლიერდა, რომ სარას ერთი თითის შეხებითაც შეეძლო მკვდარი არსებების გაცოცხლება. ლუისი მასზე შემდეგ სიტყვებს გამოთქვამს: „სარა სმიტი ჯოჯოხეთში ვერ დაეტევა“ (გვ. 98). მიწიერი ცხოვრებისგან განსხვავებით, სადაც ის ერთი ჩვეულებრივი ქალი იყო, თუმცა დიდი და დიადი გულით, ზეცაში ის საყვარელთაოდ ცნობილი ქალბატონია, რომელიც უჩვეულო ბრწინვალებითაა მოსილი. სადაც არ უნდა წავიდეს, მას მუდმივად ნათლის ანგელოზები ახლავს, რომლებიც მის პატივსაცემად გამუდმებით გალობენ.

სარა სმითს მოლაპარაკების ველზე აჩრდილი ეგებება, რომელიც მისი ქმრის, ფრენკის სულია. როდესაც ის სარას ხვდება, რატომლაც დარწმუნებულია, რომ ცოლი მის გარეშე ყველგან უბედურად გრძნობს თავს. თუმცა აღმოაჩენს, რომ ქალი ყოველმხრივ ბედნიერია. სარა მას ურჩევს ბოლმისგან განთავისუფლებას და სხვისთვის ტკივილის მიყენების სურვილის ამოძირკვას საკუთარ თავში. ქმარს დამახინჯებული წარმოდგენა აქვს სიყვარულზე: ის ფიქრობს, რომ თუ ცოლს ნამდვილად უყვარს ქმარი, მაშინ ქალის ცხოვრება ქმრის გარეშე ტანჯვად იქცევა, რადგან ქალს „სჭირდება“ ეს სიყვარული. მაგრამ ცოდვილ სულს უხსნიან, რომ ზეცაში სხვაგვარი ყოფა და კანონზომიერებაა, რომ იქ არ არსებობს დაუკ-

მაყოფილებელი საჭიროებები. სხვა რომ არაფერი, თავად სახარებაში ეუწყათ ადამიანებს, რომ სასუფეველში არცა ქორწინდებიან და არცა განქორწინდებიან, არამედ არიან როგორც ანგელოზები (მათ. 22:30). ფრენკს უჭირს ეს ყველაფერი დაიჯეროს და საბოლოოდ უარს ამბობს შინაგან გარდაქმნაზე, რაც სამოთხეში გადასვლის წინაპირობაა.

შედეგად, ის ისევ ნაცრისფერ სამყაროში დაბრუნების გადაწყვეტილებას იღებს, რადგან ღრმად სწამს, რომ ამ ნაბიჯით ტკივილს მიაყენებს ცოლს, რომელსაც მისი აკვიატებული აზრით, აუცილებლად უნდა სჭირდებოდეს თავისი სიყვარულის ობიექტი: ქმარი. ამგვარი „საცოდავი ზეიმურობით“ (miserable triumph) მოლაპარაკე ქმრის აჩრდილი უბრუნდება თავის ილუზორულ სამყაროს. აქ ერთი დეტალია საინტერესო: სარასგან განშორებისას ფრენკის სული სულ უფრო პატარავდება და ბოლოს სრულიად განქარდება ანუ კარგავს არსებობის უნარს, თავის აჩრდილობასაც კი ვეღარ ინარჩუნებს. ვფიქრობ, ლუისი აქ აშკარად მიანიშნებს ანიპილაციონიზმის თეოლოგიურ კონცეფციაზე, რაც იმ ბოროტი სულების საბოლოო გაქრობას გულისხმობს, რომლებიც თავის მდგომარეობაში ჯიუტდებიან და უარს ამბობენ სიკეთის სამყაროში დაბრუნებაზე. დიახ, ყოველივე ანტისიკეთე და ბოროტი მოკლებულია მარადიულ არსებობას. ეს მხოლოდ ღვთაებრივის თვისება შეიძლება იყოს. ყოფიერებას მხოლოდ სიკეთის სამყარო ასაზრდოებს მარადიულად. ბოროტებას არ გააჩნია, ასე ვთქვათ, შიდა კვების წყარო, რომელიც მის ავტონომიურ არსებობას უზრუნველყოფს.

შეხვედრის ველზე ერთ-ერთი ქალის აჩრდილს მისი ძმის სული ხვდება. თუმცა ქალს ერჩივნა თავისი ვაჟის სული ენახა, რომელიც ზემოთ, ნათელ მთებში დავანებულიყო. ვაჟის გარდაცვალება მისთვის ლამის ცხოვრების დასასრულს ნიშნავდა და ამგვარ „მწუხარებას არასწორი გზით“ უმკლავდებოდა, კერძოდ ნახსენებია ათწლიანი გლოვის რიტუალი (გვ. 72). ქალს მესაუთრული სურვილით უყვარდა ვაჟი. „მაიკლი ჩემია“. ამაზე ქალის ძმა შემდეგს პასუხობს: „როგორ შენი? შენ არ შეგიქმნია ის. ბუნებამ გაზარდა შენს სხეულში, შენი ნებართვის გარეშე“ (გვ. 73). მოთხოვთ შვილისადმი ამგვარი სიყვარული „მიჯაჭვულობად“ ფასდება (გვ. 74). ქრისტიანული ასკეტიკური ტრადიცია რაიმესადმი ან ვინმესადმი მიჯაჭვულობის გრძნობას ადამიანის სულიერი განვითარების ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად აცხადებს.

დედის პრობლემა არა ვაჟიშვილისადმი ძლიერი სიყვარულია, არამედ ის, რომ მას თავისი ვაჟი ღმერთზე მეტად უყვარს. დედა მზადაა თავისი მიზნის მისაღწევად ღმერთიც კი გამოიყენოს. მისი სიყვარული ეგოისტურია, რადგან შვილთან ურთიერთობა რეალურად საკუთარი ემოციების დაკმაყოფილებისთვის სჭირდება. ამიტომ, არსობრივად „მას შვილი ძალიან ძლიერ კი არა, ძალიან ცოტათი უყვარდა. მას რომ ის ოდნავ მეტად ჰყვარებოდა, არანაირი სირთულე არ იქნებოდა. მე არ ვიცი როგორ დასრულდება მისი ამბავი, მაგრამ დიდად სავარაუდოა მოითხოვოს შვილი ქვევით, ჯოჯოხეთში ჰყავდეს მასთან ერთად“ (გვ. 82).

ლუისი აღგვინერს ასევე ერთ აჩრდილს, რომელსაც მხარზე პატარა წითელი ხვლიკი აჯდა, რომელიც ყურში გამუდმებით რაღაცას ჩასჩურჩულებდა (გვ. 76-80). ხვლიკი ვნებას განასახიერებს, რომელსაც ხშირად დაბორკილი ჸყავს ადამიანი და თავისი ნებაზე ატარებს. ანგელოზი მასთან საუბრისას რამდენჯერმე ეკითხება „ნებას მაძლევ მოვკლა ეს ხვლიკი?“ აჩრდილი ყოყმანობს, უჭირს ხვლიკთან (ცოდვილ ვნებებთან) განშორება. ანგელოზი იძულებულია რამდენჯერმე დაუსვას მას იგივე შეკითხვა: „შეიძლება მოვკლა?“ ამგვარი დიალოგი მოხდენილად ირეკლავს „სინერგიის“ სახელით ცნობილ თეოლოგიურ კონცეფციას, რომლის თანახმადაც ადამიანის თავისუფალი ნების გარეშე ვერაფერი მიიღწევა: არც ბოროტების შეთვისება და არც მისგან განშორება. აუცილებელია, ღვთაებრივი და ადამიანური ნების თანამშრომლობა (სინერგია) ღმერთთან დაახლოებისთვის.

აჩრდილისგან ნეპართვის მიღების შემდეგ ანგელოზი ხვლიკს ხელს ძლიერად უჭერს და მას ხერხემალში გადამტვრეულს მიწაზე ანარცხებს. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! ხვლიკი არ კვდება. ის იკლაკნება და ნელ-ნელა სრულიად სხვა არსებად იქცევა: ის მშვენიერ ცხენად გარდაიქმნება. აღნიშნული ტრანსფორმაცია თითქოს აღუზია ქრისტეს სიტყვებთან ნამდვილი სიცოცხლის მოპოვების მიზნით საკუთარი ცოდვილი ცხოვრების განირვის შესახებ (იოან. 15:13), ასევე პავლე მოციქულის სიტყვებთან, ცოდვილ ადამიანში არსებული „ძველი იგი კაცის“ (რომ. 6:6) მოკვდინებასთან დაკავშირებით.

წიგნის ეს მოკლე მიმოხილვა მინდა ფილოსოფიის პროფესორის, ჯერი უოლსის სიტყვებით დავასრულო, რომელიც სამოთხის, განსაწმენდელისა და ჯოჯოხეთის რეალობის შესახებ დაწერილი თეოლოგიური ნაშრომების ავტორია:

„თუ რატომ შეიძლება ვინმემ აირჩიოს ჯოჯოხეთში ყოფნა, ამის მიზეზია ჯოჯოხეთის, როგორც ზეცის დამახინჯებული სარკისებრი ანარეკლი. ჯოჯოხეთში არ არსებობს სიმართლე, სიწმინდე, მაგრამ ის თავის მკვიდრთ სთავაზობს ალტერნატივას, ფარისევლურ ქედ-მაღლობას. ის იძლევა არა რეალურ სიხარულსა და ბედნიერებას, არამედ კმაყოფილებით ავადმყოფურ ტკბობას, რომელიც მოგვრილია შურისძიებით, ბოლმით, სხვათადმი ტკივილის მიყენებით. ჯოჯოხეთში არსებობს არა ნამდვილი თვითრეალიზაცია, არამედ ილუზორული ტრიუმფი საკუთარი სურვილების ჯიუტად გატანისა, მიუხედავად ამგვარი ქცევის თვით-გამანადგურებელი ხასიათისა“<sup>1</sup>.

მოთხოვის ქვეტექსტით, ალბათ, ამიტომაც, ზოგიერთ ცოდვილ სულს ჯოჯოხეთში ყოფნა შემდეგი მიზეზით ურჩევნია: „უმჯობესია ბატონობდე ჯოჯოხეთში, ვიდრე სამოთხეში მსახურებდე“ (გვ. 52).

დაბოლოს, ალეგორიული მოთხოვი „დიდი გაყრა“ შეიცავს იდუმალ სიტყვებს უნივერსალიზმის, ანუ ყველა არსების გადარჩენის შესახებ, რომ ამ საკითხზე საბოლოო და გარკვეული პასუხი ვერ იარსებებს ამქვეყნად და მით უმეტეს მხოლოდ რაციონალური მსჯელობის ფარგლებში:

„...ნებისმიერი პასუხი შეცდომაში შეგიყვანს. თუ კითხვას დროის გადასახედიდან დასვამ, პასუხი არსებობს. ადამიანი თვითონ ირჩევს, რა გზით წავიდეს. არც ერთი გზა არ არის ჩაკეტილი. ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება აირჩიოს მარადიული სიკვდილი. ისინი, ვინც მას აირჩევენ, მიღებენ კიდევაც. მაგრამ თუ შენ ამ შეკითხვას მარადიულობის გადასახედიდან დასვამ, თუ ცდილობ, ყველაფრის საბოლოო მდგომარეობა დაინახო, იმას კითხულობ, რაზეც ვერც ერთი მოკვდავი პასუხს ვერ მიიღებს. დრო სწორედ ის ლინზაა, რომლის მეშვეობითაც შენ ხედავ პატარასა და გარკვეულს, როგორც ადამიანები ხედავ-ენ ტელესკოპის მეორე ბოლოდან იმას, რაც სხვა შემთხვევაში დასანახად ძალიან დიდი იქნებოდა. რასაც ხედავ, ეს თავისუფლებაა: საჩუქარი, რომელიც ყველაზე მეტად გამსგავსებს შემოქმედს და მარადიული რეალობის ნაწილად გაქცევს, მაგრამ შენ ამის დანახვა მხოლოდ დროის ლინზაში შეგიძლია, როგორც შებრუნებულ ტელესკოპში ხედავ პატარა, ნათელ სურათებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით დალაგებული მომენტების მთლიანი სურათია“ (გვ. 99).

ნაწარმოების თარგმნის იდეა ეკუთვნის თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტრის წინამძღვარს, იღუმენია მარიამ მიქელაქეს, რომლის წინასიტყვაობითაც გამოიცა ეს წიგნი. სამწუხაროდ, ქართულ მართლმადიდებლურ სივრცეში ყველანაირად ერიდებიან არამართლმადიდებელი ავტორების თარგმნას და გამოცემას. იმედი მაქვს ჩვენი ეკლესიის ინკვიზიციური ფრთა, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი (მმკ) თუ სხვა მსგავსი და-

<sup>1</sup> Walls, Jerry. *Heaven, Hell and Purgatory: Rethinking the Things that Matter Most*. Grand Rapids, MI: Brazos Press 2015, p. 89-90.

ჯგუფება არ მოჰყვება გოდებას ხსენებული მონასტრის ინიციატივით ანგლიკანი ავტორის წიგნის გამოცემის გამო. მმკ-ის წევრებს არაერთხელ მოუწყვიათ „რეიდები“ საეკლესიო მაღაზიებში „არასწორი“ წიგნების გაყიდვიდან ამოღების მოთხოვნით. სხვათა შორის, ამგვარ ნაშრომებს შორის იყო მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევის წიგნიც „რწმენის საიდუმლოება“, მართლმადიდებელი ავტორის ნაშრომი, რომელიც საიქიო განწმენდის, საყოველთაო ცხონების ანუ აპოკატასტასის შესახებ ეკლესიის მამათა იდეებს შეიცავს.<sup>1</sup> სწორედ ეს იყო მიზეზი მათი ვნებათაღელვისა.

ვისურვებდი, რომ თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტრის ამგვარმა ინტერკონფესიურმა ლიტერატურულმა წამოწებამ ფერი უცვალოს მონოკონფესიურად ჩაკეტილ ქართულ რელიგიურ საგამომცემლო ვითარებას სხვადასხვა სახის თეოლოგიური ლიტერატურის გადმოენების თვალსაზრისით.

<sup>1</sup> ალფეევი, ილარიონ. სარწმუნოების საიდუმლოება: მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების შესავალი. რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხილაძემ. თბ., საზოგადოება ფერისცვალება, 2013, გვ. 395-417.